ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №26

12 მარტი, 2019 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
16:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
3. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
4. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-031906554-03; 06.03.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

სხდომა წარიმართა ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, გარემოს დაცვის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებთან ერთად.

მომხსენებელი:

- **მაია ბითაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
- **ალექსანდრე ტოგონიძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **მერაბ ბოლქვაძე** - ააიპ „სითი ინსტიტუტი საქართველო“.

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

მ. ბითაძე - წარმოგიდგენთ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საბოლოო ვერსიას და ასევე ცვლილებებს, რომლებიც აუცილებელია მისი სრულყოფისათვის. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მოხდა წარმოდგენილი

პროექტის გადამუშავება და საბოლოო სახის ჩამოყალიბება ,,სითი-ინსტიტუტი საქართველოსთან" ერთად.

წარმოდგენილი გენერალური გეგმა ჩაანაცვლებს წინამორბედს. მას თან ახლავს შესაბამისი დოკუმენტები სხვადასხვა მიმართულებების გათვალისწინებით, რომლებიც მომავალი 10 წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. სატრანსპორტო პრობლემები, რომლებიც დღეს არის დედაქალაქში, არის არასწორი ურბანული დაგეგმარების შედეგი, რაც აღარ უნდა განმეორდეს.

შენიშვნები, რომლებიც არსებობდა გასული წლის შემოდგომაზე განხილულ პროექტთან დაკავშირებით, მაქსიმალურად გათვალისიწნებულია და მორგებულია სამართლებრივ ჩარჩოებს.

გენერალურ გეგმაში ჩვენ გვაქვს ზუსტი მითითებები იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებიც არის პრობლემური, საუბარია 11 არეალზე. ასევე ბევრი სიახლეა წარმოდგენილი, რომლებიც ახლებურად დაგვანახებს ქალაქს. ქალაქი უნდა დავინახოთ არა ამოგლეჯი სახით, არამედ სრულყოფილად, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი.

დღეის მდგომარეობით, ტრანსპორტის მიმართულებით ორი კვლევა მიმდინარეობს, რომლებიც ახალ დერეფნებს შექმნის, საუბარია ასევე საბაგიროების განვითარებაზე. ამასთან, კომპანია ,,სისტრა" ასრულებს კვლევას და ახლო მომავალში ჩვენ გვექნება სრულიად ახალი სქემა და სწორად დაპროექტებული მარშრუტები.

ხანგრძლივი და შრომატევადი მუშაობა ,,სითი ინსტიტუტი საქართველოსთან" და დეველოპერებთან ერთად წარმატებით დასრულდა და შედეგად თქვენ განიხილავთ შეთანხმებულ დოკუმენტს, რომლის მიღება მართალია დაგვიანებულია, მაგრამ აუცილებელია.

მ. ბოლქვაძე - თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არის რეკრეაციული ადგილების დაცვის დოკუმენტი. როგორც კი დოკუმენტი დამტკიცდება ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა მის აღსრულებაში. ძალიან შრომატევადი და ნაყოფიერი აღმოჩნდა ერთობრივი მუშაობა მუნიციპალიტეტთან. ჩვენ მზად ვართ შემდგომი თანამშრომლობისთვისაც.

საკრებულოს დეპუტატებმა და მოწვეულმა ექპერტებმა გამოთქვეს საკუთარი შეხედულებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. სხდომის დასასრულს ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (12-031906554-03; 06.03.2019) განხილვის მეორე ეტაპი გაიმართოს ა/წ 15 მარტს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე